საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია (აახსო), საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დაარსდა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის I კონფერენციაზე (ქ. კაირო, 1957 წ. 26 დეკ.-1958 წ. 1 იანვ.) აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს სახელწოდებით. 1960 აპრილში II კონფერენციაზე ქ. კონაკრიში გადაკეთდა აახსოდ, რ-ის შტაბ-ბინა კაიროშია. მისი წევრი დაარსების დღიდანვე გახდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის (ააქს) საბჭ. კომიტეტი, რ-ის შემადგენლობაში 1961 აპრილში შეიქმნა ააქს-ის საქართვ. რესპ. კომიტეტი, რ-იც სხვა კომიტეტებთან ერთად მონაწილეობდა აახსოს სხვადასხვა საერთაშ. კონფერენციისა, სიმპოზიუმისა და სემინარის მუშაობაში და ამ ორი კონტინენტის წამომადგენლებს შეძლებისდაგვარად აცნობდა საქართველოს. ააქს-ის საბჭ. კომიტეტი დაიშალა 1991 დეკ., რ-ის ბაზაზეც შეიქმნა ააქს-ის რუს. კომიტეტი, ხოლო შუა აზიის და ამიერკავკ. რესპუბლიკური კომიტეტები აახსოს დამოუკიდებელი, მემკვიდრეობითი წევრები გახდნენ, ააქს-ის საქართველოს კომიტეტის პრეზიდიუმის თავ-რეა აკად. თ. გამყრელიძე.

ნ. კოჭლაშვილი